სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

44230344577424

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240295573

რეგისტრაციის თარიღი

12.03.2024 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კალანდარიშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი N70–ბ (I სართული)
ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის თორმეტ მარტს მე, ნუნუ კალანდარიშვილს, საქართველოს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №70-ბ (I სართული), მომმართა **გიორგი ხურციძემ, როგორც შპს „დიონისე 2018“-ს ერთპიროვნულმა დირექტორმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მომზადების თარიღი: 10/11/2023 18:19:11, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23152106, საიდენტიფიკაციო კოდი: 404557715), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი ხურციძემ** (დაბ. 09.07.1994წ. თბილისში, რეგ. მის. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქ. N215, კორ. 2, ბ. 19, პასპორტი №11BA17799, პ/№01008048194, გაც. 19.03.2014წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მას განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა **გიორგი ხურციძემ** და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **გიორგი ხურციძემ, როგორც შპს „დიონისე 2018“-ს ერთპიროვნულმა დირექტორმა,** ამ მინდობილობით **ივანე ჯიჯიეიშვილს** (დაბ. 16.06.1984წ. თბილისში, პ/№01009016073)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ივანე ჯიჯიეიშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც **შპს „დიონისე 2018“-ს ერთპიროვნული დირექტორის** წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ სამინისტროში, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქ თბილისის საკრებულოში, მერიაში, მუნიციპალიტეტში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, მერიის სსიპ-ებთან ურთიერთობაში, მათ შორის: სსიპ არქიტექტურის სამსახურთან, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან ურთიერთობაში, რათა განახორციელოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ **უძრავ ქონებაზე, რომლის საკადასტრო კოდია №01.15.03.004.021** პროექტის შეთანხმების, პროექტის ცვლილების, პროექტის კორექტირების, ვადის გაგრძელების, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, ფოტომონტაჟური პროექტის მიღებასთან, წითელი ხაზების კორექტირებასთან, სამშენებლოდ გამოყენებასთან, პირობების დადგენასთან, განაშენიანებასთან, რეგულირებასთან, გეგმის შეთანხმებასთან, ზონის ცვლილებასთან, მიწის ნაკვეთის პარამეტრების ცვლილებასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან, შეთანხმებული პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით ნებისმიერი საჭირო მოქმედება. მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება და ვადის გაგრძელება, უძრავი ქონების აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად; ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი. ჩემი სახელით შესაბამის ორგანოებში წარადგინოს განცხადებები, გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მიიღოს/ჩააბაროს დოკუმენტაცია, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის: განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალებებისშესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია 03 (სამი) თვის ვადით და ძალაშია 2024 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს ნუნუ კალანდარიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი – გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: 30.00 /ოცდაათი/ ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების 29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507, (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის №272 დადგენილებით) 31-ე მუხლისა. 5.00 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა. აგრეთვე დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი). თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი).

ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი

ნუნუ კალანდარიშვილი